პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-11 წელი

№ 68 (874) ‖ ოთხშაბათი, 24 აგვისტო, ‖ ფასი 30 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი სასწავლო წელი

ახლოვდება პირველი სექტემბერი. ამ დღეს ფართოდ გაიღება სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სადარბაზო კარები, აუდიტორიებსა და საკლასო ოთახებს გამოაცოცხლებენ ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდები, რომლებიც არდადეგების პერიოდში ისვენებდნენ, იწრთობოდნენ და ახლა მზად არიან დაეუფლონ მეცნიერების მწვერვალებს.

სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი! — ეს ორი დაწესებულება საბჭოთა სპორტსმენთა არმიის საიმედო რეზერვის აღმზრდელია. რესპუბლიკის თითქმის ყველა ოსტატმა, რეკორდსმენმა თუ ჩემპიონმა პირველი სპორტული ნათლობა სკოლის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში მიიღო. აქ შეიყვარეს მათ სპორტი და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან ერთად განაგრძეს შემდგომი დაოსტატების გზით სვლა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მზადების დღეებში რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მთავარი საზრუნავი მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადებაა, ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ იმ კერებს, საიდანაც შესაძლებელია აღვზარდოთ მაღალი თანრიგის სპორტსმენები, შევავსოთ რესპუბლიკის ნაკრები გუნდები

მიმდინარე სასწავლო წელი განსაკუთრებით დაძაბული იქნება. დიდი ამოცანებია დასახული მოსწავლე და სტუდენტ სპორტსმენთა წინაშე. მათ, რაც მთავარია, უნდა მოიპოვონ აკადემიური წარმატება და ამასთან ერთად ერთ წუთსაც არ უნდა შეანელონ წვრთნა, სპორტულ ოსტატობაში შემდგომი დახელოვნება.

მიმდინარე წლის ზაფხულში ბევრი მეტად საინტერესო მასობრივი ღონისძიება იქნა ჩატარებული მოსწავლეთა და სტუდენტთა მონაწილეობით. რესპუბლიკის მოსწავლეთა სპარტაკიადამ მრავალი ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე სპორტსმენი მოგვცა. მათთან მეთოდურად სწორად დაყენებული საწვრთნელი მეცადინეობით ჩვენ გამოვზრდით პირველთანრიგოსნებსა და ოსტატებს. საქართველოს სტუდენტ-სპორტსმენთა ნაკრებმა კოლექტივმა საკავშირო სპარტაკიადაზე საერთო მეორე ადგილი დაიკავა. ეს წარმატება იმის მაჩვენებელია, რომ სტუდენტთა შორის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დგას, ახლა საჭიროა მოპოვებული წარმატების შენარჩუნება, განმტკიცება და მისი განუხრელი ზრდა.

მოსწავლეთა ფიზიკური წრთობის ძირითადი ფორმა ფიზკულტურული გაკვეთილია, აქ ბავშვი იძენს ყოველმხრივ ფიზიკურ მომზადებას. ფიზაღზრდის მასწავლებელთა საპატიო ამოცანაა ყოველი გაკვეთილი მაღალ დონეზე ჩატარდეს, ყოველი გაკვეთილი საინტერესო იყოს. საჭიროა გაკვეთილისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რათა იგი მოსწავლეთათვის მომაბეზრებელი არ გახდეს. ამიტომ გაკვეთილისათვის წინასწარ უნდა მოვემზადოთ. მაგრამ შეცდომა იქნი თუ ჩვენ მარტო გაკვეთილით შემოვიფარგლებით. ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას და სპორტის რომელიმე სახეობაში სპეციალიზაციას ბავშვი იმ შემთხვევაში იღებს, თუ ფიზაღზრდის მეცადინეობას შეავსებს კლასგარეშე ფიზკულტურული საქმიანობით — სპორტულ სექციებში მეცადინეობით, სხვადასხვა შეჯიბრებაში, ლაშქრობაში მონაწილეობით.

სკოლის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ვალია სწავლის დაწყების პირველ დღიდანვე საინტერესო საქმიანობა გაშალოს. საბჭო შეივსოს ახალი წევრებით, შედგეს სპორტული კალენდარი, მოეწყოს შაბათობები სკოლასთან არსებული მოედნების სწრაფად შეკეთებისათვის, ახალი ძალით განახლდეს სპორტულ სექციებში მუშაობა. სკოლის კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა თუ ფიზაღზრდის მასწავლებლებს ქმედითი დახმარება არ გაუწიეს, ისე სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.

სპორტულმა საზოგადოებებმა ახლავე უნდა დასახონ ღონისძიებები მათს სისტემაში შემავალ უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული მუშაობის გასაშლელად. სანამ კიდევ დრო არის, გადაისინჯოს და გამოცდილი მწვრთნელებით შეივსოს უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრები. შედგეს მტკიცე სამუშაო გეგმა, აღრიცხვაზე ავიყვანოთ და სწავლის დაწყების პირველ დღიდანვე სექციების მუშაობაში ჩავაბათ ახალმიღებული სტუდენტები.

უკვე დიდი ხანია, რაც რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები ახალი სასწავლო წლისათვის ემზადებიან. ბევრი სკოლა კაპიტალურად შეკეთდა, ახალი ექსპონატებით შეივსო ლაბორატორიები, ინვენტარი შეიძინეს სპორტული დარბაზებისათვის, მაგრამ არის ფაქტები, რომლებიც ზოგიერთი სკოლის დირექტორის მიერ ფიზკულტურისა და სპორტის უგულებელყოფაზე მეტყველებენ. ამას წინათ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის საშუალო სკოლის მოსწავლეები გვწერენ: „ჩვენი სოფლის სკოლა საფუძვლიანად შეაკეთეს. საკლასო ოთახებიც შეღებეს, ახალი მერხები დადგეს, მაგრამ სპორტულ მოედანს ყურადღებაც არ მიაქციეს — იგი უპატრონოდაა მიტოვებული“. ასეთი ფაქტი განა მარტო ჩუმლაყშია? ასეთივე მდგომარეობაა ამავე რაიონის სხვა სოფლებში.

1956 წლის აპრილ-მაისში დაიწყება საქართველოს სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრება და ფინალი. ამ გრანდიოზულ შეჯიბრებაში მოსწავლე და სტუდენტი სპორტსმენებიც მიიღებენ მონაწილეობას. სექტემბრის პირველ დღეებიდანვე უნდა გავშალოთ სექციური მუშაობა, უქმად არ დავკარგოთ არც ერთი დღე, არც ერთი მეცადინეობა. ჩვენი რიგებიდან გამოვავლინოთ ნიჭიერი სპორტსმენები.

მოსკოვის იპოდრომზე მიმდინარეობს ცხენოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. ასპარეზობაში გათამაშებულ იქნება 33 საერთაშორისო ჯილდო.

**სურათზე:** დოლში 1.200 მეტრზე ქალაქ სოფიის პრიზზე გამარჯვებული მოსკოველი სპორტსმენი ი. ივანოვი.

ფოტო ნ. სიტნიკოვისა.

# მოსწავლეთა სპარტაკიადა გრძელდება

21 აგვისტოს უკრაინის სსრ დედაქალაქ კიევში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მოსწავლეთა მეორე საკავშირო სპარტაკიადა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოსა და სსრ კავშირის გზათა სამინისტროს გუნდები.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნის შემდეგ შეჯიბრება დაიწყეს მძლეოსნებმა. ამანათრბენში 4×100 მ ჭაბუკებისა და გოგონებისათვის პირველ გარბენში გაიმარჯვა ლენინგრადის ჭაბუკთა კოლექტივმა, მეორეში უკრაინამ, მესამეში — მოსკოვმა, მეოთხეში რსფსრ-მ. საქართველოს ჭაბუკთა გუნდმა, რომელიც პირველ გარბენში მონაწილეობდა აზერბაიჯანის კოლექტივთან ერთად გაიყო მესამე და მეოთხე ადგილი. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია 110 მეტრზე თარჯრბენში საქართველოს გუნდის წევრმა გურამ გვინჩიძემ მის მიერ ნაჩვენები შედეგი (15,8) ყველაზე საუკეთესო აღმოჩნდა. გ გვინჩიძემ მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება. ფინალში გავიდა აგრეთვე შუბის მტყორცნელი ქიტინიოვა (საქართველო).

ტანმოვარჯიშეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სავალდებულო ვარჯიშების შესრულებაში. აქ წარმატება ხვდათ წილად საქართველოს გუნდის წარმომადგენლებს აღნიაშვილსა და მკრტიჩიანს. პირველმა მაღალი შეფასება მიიღო ღერძზე ვარჯიშში — 9,8 ქულა, მეორემ ტაიჭზე — 9,35 ქულა. სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ პირველ ადგილზეა რსფსრ, მეორეზე საქართველო, მესამეზე — ლენინგრადი.

დიდ ინტერესს იწვევს შეხვედრები კალათბურთსა და ფრენბურთში, ვაჟთა შორის დაუმარცხებლად წინ მიდიან საქართველოს, მოსკოვისა და უკრაინის კალათბურთელთა გუნდები. ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივმა გაიმარჯვა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს გუნდთან და ტაჯიკეთის სსრ კალათბურთელებთან. წარუმატებლად დაიწყეს შეჯიბრება საქართველოს კალათბურთელმა გოგონებმა. მათ წააგეს თამაში ლიტვის კოლექტივთან, მაგრამ შემდეგ ზედიზედ გაიმარჯვეს აზერბაიჯანთან და ლენინგრადთან შეხვედრებში. საქართველოს ფრენბურთელმა გოგონებმა მოუგეს ბელორუსიას, ხოლო ჭაბუკებმა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს ფრენბურთელებს.

სპარტაკიადა გრძელდება...

**მ. კეკელიძე,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

# ჭაბუკთა შეჯიბრებები

## ვორონეჟი

ვორონეჟში მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობს მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოსა და სხვათა 14 გუნდი. როგორც გუნდის მწვრთნელი იორდანიშვილი გვატყობინებს, მესამე წრის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიდან დაუმარცხებლად მიდიან გვიმრაძე მუხიაშვილი, გოგიბედაშვილი. თითო დამარცხება აქვთ მჭედლიშვილს, ძაგანიას, ხითარიშვილსა და ძქიროფოვს. გუნდურ ჩათვლაში წინაა ლენინგრადის გუნდი. შემდეგ ადგილებზე მოდიან რსფსრ-სა და საქართველოს სპორტსმენები.

## როსტოვი

აქ მიმდინარეობს ჭაბუკთა საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. საქართველოს გუნდმა სამი შეხვედრიდან სამივეში გამარჯვება მოიპოვა. სპორტსმენებს: ლუდუშაურს, გვანცელაძეს, შენგელიასა და ბაზიერაშვილს არ განუცდიათ დამარცხება, გუნდის სხვა წევრებმა წააგეს თითო შეხვედრა.

# რიგის სასახლეში

ჭაბუკებისა და გოგონების საკავშირო საჭადრაკო შეჯიბრების მორიგ, მეექვსე ტურში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები შეხვდნენ უზბეკეთის მოჭადრაკეებს. კალტოზიშვილ-ლაზარევის, სმირნოვ-კასიმოვის, ლომაია-ასრიანცის, თხელიძე-ზუნონოვის, კაჭარავა-ვარატნიკოვის, ტოგონიძე-სიბიროვასა და სტატნიკოვა-კურბანოვას შეხვედრები პირველთა გამარჯვებით დამთავრდა.

ვეტოხინ-ხასიდოვსკის პარტია თანაბარ მდგომარეობაში გადაიდო, მაგრამ შემდეგ თეთრებმა ცუდად ითამაშეს და დამარცხდნენ, კოგანმა მოუგო მაჭავარიანს. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 8.5:3,5 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ. გადადებული პარტიების გათამაშებისას საქართველოსა და მოსკოვის კოლექტივებს შორის შეხვედრის საბოლოო ანგარიში გახდა 6,5:5,5 ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.

თხელიძე (საქართველო)-მოვშოვიჩის (რსფსრ) გადადებული პარტია ყაიმით დამთავრდა. ამ გუნდების შეხვედრის საბოლოო შედეგია 6,5:5,5 პირველის სასარგებლოდ.

მეექვსე ტურში მოულოდნელი შედეგით დამთავრდა მოსკოვ-აზერბაიჯანის მატჩი. შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 11,5:0,5, ერთადერთ ყაიმს ბაქოელებიდან ლ. ტარიელაშვილმა მიაღწია. რვა ტურის შემდეგ წინ არის მოსკოვის გუნდი (66,5 ქულა) მეორეზეა რსფსრ-ს (63,5), მესამეზე — საქართველოს წარმომადგენლები (63 ქულა).

**ვ ქარსელაძე,**
გუნდის მწვრთნელი.

ახლახან დამთავრებულ პროფკავშირთა მეხუთე სპარტაკიადაზე კლასიკურ ჭიდაობაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა დავით გვანცელაძემ. მის მიერ ჩატარებულმა შეხვედრებმა როგორც მაყურებელთა, ისე მსაჯთა და მწვრთნელთა მაღალი შეფასება მიიღო.

◆

**სურათზე:** პროფკავშირების ჩემპიონი დ. გვანცელაძე.

# გეტებორგის ტურნირი

საზონათშორისო ტურნირის მეოთხე ტურში კერეს-სპასკის პარტიაში გათამაშდა ახალინდური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. კერესმა ცენტრალური პაიკის წინ წაწევით მიაღწია უპირატესობას და შეასუსტა მოწინააღმდეგის პაიკები. ამ დღეს პარტია გადაიდო, პარტიის განახლებისას სპასკიმ პარტია დათმო. კვლავ კარგი სტილით თამაშობს ახალგაზრდა იუგოსლაველი ოსტატი ფუდერერი. არგენტინელ პანოსთან შეხვედრაში მან აქტიურად განალაგა თავისი ფიგურები და მეფის ფლანგზე პაიკების შეტევით მნიშვნელოვნად შეავიწროვა მოწინააღმდეგე. პარტია გადაიდო. გადადებული პარტიის გათამაშების დღეს პანომ მხედრის შეწირვით შეძლო პოზიციის გათანაბრება და ყაიმს მიაღწია.

ძველინდურ დაცვაში ჩეხოსლოვაკელმა გროსმაისტერმა პახმანმა ერთგვარი უპირატესობა მოიპოვა პოლონელ სლივასთან შეხვედრაში, მაგრამ შემდეგ ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და ნახევარი ქულა დაკარგა. შავებით კარგად გაითამაშა დებიუტი ოსტატმა მედინამ გროსმაისტერ შტალბერგის წინააღმდეგ. ეს პარტიაც მშვიდი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. უნციკერ-რაბარის პარტიაში შეიქმნა ნიმცოვიჩის დაცვისათვის დამახასიათებელი პოზიცია, პარტიის განახლებისას მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე გიმარ-პილნიკის, პილნიკ-ნაიდორფისა და მედინა-ფილიპის შეხვედრები.

ოთხი ტურის შემდეგ წინ იყვნენ ილივიცკი, პანო და ფუდერერი (სამ-სამი ქულა).

## სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შესახვედრად

# სექციები მუშაობენ

წინათ კასპის ცემენტის ქარხნის ფეხბურთის მოედანზე პირუტყვი ნავარდობდა, არ ეყო სპორტული ინვენტარი, შეჯიბრება შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწყობოდა.

— ასე არ უნდა გაგრძელდეს! — გადაწყვიტა კომკავშირის კომიტეტმა. — საქართველოს სსრ სპარტაკიადის ჩატარების თარიღი ახლოვდება, როგორ ხვდება ჩვენი ქარხანა მას? ცუდად. საჭიროა მუშაობის გარდაქმნა, ამას მოითხოვს ჩვენი ქარხნის, რესპუბლიკის ინტერესები. — ახალგაზრდებმა თქვეს და საქმიანობა გაშალეს კიდეც.

ქარხანაში ფიზკულტურის ორგანიზატორად ენერგიული ახალგაზრდა დურმიშხან კავაზოვი დანიშნეს. მან ახალგაზრდობიდან რამდენიმე ენთუზიასტი ამოარჩია. ესენი იყვნენ ჯ. გოლეთიანი, ა. მოსკალენკო, ვ. კანდელაკი და სხვები.

მათი ინიციატივით მოეწყო პირველი შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. ახალგაზრდები ჯერ პასიური მაყურებლები იყვნენ, შემდეგ კი თანდათანობით თვითონვე დაიწყეს შეჯიბრებებში აქტიური მონაწილეობის მიღება. მოეწყო კვირაობები, წესრიგში მოიყვანეს ფეხბურთის მოედანი, მძლეოსნური სექტორები, შეაკეთეს სპორტული ინვენტარი.

ახალგაზრდობას შორის ფეხბურთი ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა. შეიძლება ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ფიზკულტურის ორგანიზატორი დ. კავაზოვი ფეხბურთელი იყო. დაუღალავმა და მონდომებულმა ვარჯიშმა მალე სასურველი ნაყოფი გამოიღო, გუნდმა საქართველოს პირველობის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ლაგოდეხის გუნდთან რომ პირველივე დღეებში დამარცხება განიცადეს, სულით არ დაცემულან. შემდგომ მატჩებში მაქსიმალურად გამოიყენეს თავიანთი შესაძლებლობანი და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს. კასპის ცემენტის ქარხნის გუნდი — „სტროიტელი" საქართველოს პირველობის მე-3 ჯგუფის ჩემპიონი გახდა.

სპორტული მუშაობა მარტო ფეხბურთის სექციაში როდი ჩქეფს. აქ ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ქართული ჭიდაობის, კალათბურთის, მძლეოსნობის მოყვარულები. ქართული ჭიდაობის სექციაში ვარჯიშობენ ძლიერი სპორტსმენები: საქართველოს ჩემპიონი ვ. მონასელიძე, მეორეთანრიგოსანი ო. მოდრეკელიძე და სხვ. მათ კარგი ტრადიციები შექმნეს. სექციაში ახლად მოსულ ახალგაზრდებს ეხმარებიან, უზიარებენ გამოცდილებას, მონდომებით ასწავლიან საჭიდაო ფანდებს. სწორედ ამიტომ არის, რომ ახალგაზრდებმა გ. ხოკერაშვილმა და ა. მერაბაშვილმა მოკლე დროში ბევრი რამ ისწავლეს. ასეთივე მდგომარეობაა მძლეოსნობაში.

ქარხანაში ჩამოაყალიბეს აგრეთვე მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის სექციები. თავისუფალ დროს ინჟინრები არ ცილდებიან ჩოგბურთის მაგიდას. ასეთმა დაინტერესებამ კარგი შედეგი გამოიღო. მოკლე დროში ვ. კანდელაკმა, ა. არაქელოვმა, ა. ვადაჭკორიამ ისე მარჯვედ ისწავლეს ჩოგნის ხმარება, რომ სათანრიგო ნორმატივის ჩაბარებაზე დაიწყეს ფიქრი. კასპელი მუშა-ახალგაზრდობა მათთვის ჯერ კიდევ უცნობ მაგიდის ჩოგბურთს ირონიით უყურებდნენ. უკვირდათ რა სიძნელეს წარმოადგენდა პატარა პლასტმასის ბურთის ჩოგნით დარტყმა, მაგრამ ერთხელ, როცა მოჭიდავე დათამ სცადა თავი გამოეჩინა, ბურთი ჰაერში ავარდა, გვერდიდან დაარტყა — ვანზე გაფრინდა. ძალიან გაუჭირდა. სპორტის ამ სახეობის დაუფლება, თურმე არც ისე იოლი ყოფილა.

არანაკლები სიყვარულით სარგებლობს ჭადრაკი. ამ სექციას პირველთანრიგოსანი ა. ვადაჭკორია ხელმძღვანელობს. მართალია, პირველ ხანებში ჭადრაკით ძირითადად ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი იყო დაინტერესებული, მაგრამ დროთა განმავლობაში რესპუბლიკის გამოცდილ მოჭადრაკეებთან რამდენიმე დაფაზე ერთდროული სეანსების ჩატარებისა და ტურნირების შედეგად ჭადრაკმა მუშა-ახალგაზრდებიც მიიზიდა.

ძირეულმა კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა თანრიგოსანთა და მშთ ნიშნოსანთა მომზადების წლის პირველი ნახევრის გეგმა.

**ო. მაისურაძე**

# ახალქალაქში თავს არ იწუხებენ

ახალქალაქი ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე სამხრეთის რაიონია, აქ სათანადო ბუნებრივი პირობები არსებობს სპორტის რამდენიმე სახეობის განვითარებისათვის, საკმაო დაინტერესებასაც იჩენენ ახალგაზრდები, მაგრამ მათ მისწრაფებას — იმეცადინონ რომელიმე სექციაში — ფრთები ეკვეცება რაიონის ფიზკულტურის კომიტეტისა და „კოლმეურნის" რაისაბჭოს მუშაკთა მოუქნელი საქმიანობის გამო. ბევრგან ფიზკულტურული კოლექტივიც კი არ არსებობს. მაგალითად ახალქალაქის, ბარალეთისა და ვაჩიანის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში დღემდე არაა შექმნილი ძირეული კოლექტივები.

— რა ვქნათ, რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელებიდან არავინ გვეხმარება, შესამოწმებლადაც კარგახანია არ მოსულან, არ გვაძლევენ მითითებებს, გეგმებს, ისე კი... აბა რა უნდა გავაკეთოთ. — თავი იმართლეს ვაჩიანის მტს-ში.

რაიონში სპორტული ბაზებისა და ინვენტარის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. არც ერთ კოლმეურნეობაში არაა კალათბურთის მოედანი და ტანვარჯიშული [illegible]. ჭოთულიის ჩოდრიშვილის სახელობისა და კორძახის კალინინის სახელობის კოლმეურნეობების ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები სანახევროდ მწყობრიდანაა გამოსული, ზაფხული იწურება და მათზე არც ერთი ღონისძიება არ ჩატარებულა.

„კოლმეურნის" რაისაბჭო მხოლოდ საწევრო ანარიცხების აკრეფაზე ფიქრობს (თუმცა ამ დავალებასაც ვერ ასრულებს), სპორტღონისძიებათა ჩატარებისათვის კი თავს არ იწუხებენ, არ გააჩნიათ სამუშაო გეგმა, ჩამორჩებიან ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმის შესრულებაში.

ახალქალაქის ფიზკულტურის მესვეურები არაფერს აკეთებენ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

ასეთი მდგომარეობა როდი იქნებოდა ახალქალაქში, კომიტეტის მუშაობას სათანადო კონტროლს რომ უწევდნენ რაიონის ხელმძღვანელები.

**ა. მეტრეველი**

# კოოპერაციის მუშაკთა შეჯიბრება

თბილისში დამთავრდა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, სროლა და მძლეოსნობა. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, ცხაკაიას, ბორჯომის, გურჯაანის, გორისა და სხვათა 16 კოლექტივი.

სპარტაკიადაში გამარჯვებული გამოვიდა აჭარის კოლექტივი, მეორეზეა აფხაზეთის და მესამეზე — ქუთაისის ფიზკულტურელები.

ფრენბურთში ყველა შეხვედრა დაუმარცხებლად ჩაატარა და გაიმარჯვა მახარაძის გუნდმა. მძლეოსნობაში გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა აფხაზეთის კოლექტივს, რომელმაც 5834 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზეა აჭარის, მესამეზე — ბორჯომის გუნდები. მსროლელთა შეჯიბრება დამთავრდა ქუთაისლების გამარჯვებით. აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლებმა შესაბამისად დაიკავეს მეორე და მესამე ადგილები.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში გაიმარჯვეს: ვაჟთა შორის ქუთაისელმა შ. სოფრომაძემ (96 ქულა 100-დან), ქალთა შორის — ცეკავშირის სამმართველოს წარმომადგენელმა თ. ქანთარიამ.

**გ. გოლაშვილი,**
**სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.**

# მოწინავე კოლექტივი

ჩვენ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ტერიტორიაზე ვართ. დაჩრდილულ, მოასფალტებულ ხეივანს მივუყვებით და კომბინატის სპორტული ცხოვრების შესახებ ვსაუბრობთ. მაღალი, ქერა ახალგაზრდა საამქროებისაკენ მიგვიძღვის, იქ ახალ სპორტულ კედლის გაზეთებს ვათვალიერებთ, შემდეგ კი სასროლე სტენდისაკენ მივემართებით.

სასიამოვნოა, როდესაც შრომისმოყვარე, ხალისიან ადამიანს მისთვის საყვარელ საქმეზე ესაუბრები. ახალგაზრდა, ცვლის მოწინავე ინჟინერი მიხეილ ბაბუნაშვილი, რომელიც დღეს მასპინძლობას გვიწევს, გვიყვება კომბინატის ფიზკულტურელთა საქმიანობაზე და ჩვენც გულისყურით ვუსმენთ. თვითონ მიშა კომბინატის აქტივისტი ფიზკულტურელია. ორი წელია, რაც მან მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტი დაამთავრა და სამუშაოდ თბილისს ეწვია. ამ ხნის განმავლობაში მან შეძლო კომბინატში პატივისცემის დამსახურება. იგი არჩეულ იქნა კომბინატის კომკავშირის კომიტეტისა და ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს წევრად. შრომა სპორტის გარეშე მას ვერც კი წარმოუდგენია. მიშა აქტიურად მონაწილეობს კომბინატის მიერ ჩატარებულ ყოველგვარ ღონისძიებაში, წვრთნის კალათბურთელებს და გუნდში ითვლება წამყვან მოთამაშედ.

მაუდ-კამვოლის კომბინატის 500 კაციდან სპორტულ კოლექტივს მ. ბაბუნაშვილისთანა სხვებიც ჰყავს. ჩვენ სიამოვნებით ვათვალიერებთ მრავალრიცხოვან სიგელებს, დიპლომებს, მოწმობებს, ვიმპელებს, თასებს, ლამაზად გაფორმებულ ალბომებს, რომლებიც კოლექტივის მიღწევების უტყუარ საბუთებს წარმოადგენენ. განსაკუთრებით გამოცოცხლდა მუშაობა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში.

ყველაფერი აქ სპორტის მასობრიობასა და პოპულარობაზე მეტყველებს. კომბინატში ჩამოყალიბებული თორმეტი სპორტული სექცია, რომლებსაც საზოგადოებრივი მწვრთნელები ხელმძღვანელობენ, სისტემატურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზაზე ხშირად ნახავთ ინჟინრებს, მუშებს, კომბინატის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. კომბინატში მიმდინარე წლის ნიშნოსანთა მომზადების გეგმებს უკვე გადააჭარბეს. წარმატებით მიმდინარეობს თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმების შესრულება. აქაური ფიზკულტურელები წარმატებით გამოდიან სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკურ პირველობაზე. ამას წინათ კომბინატის ფეხბურთელებმა თავიანთ მნიშვნელოვან გამარჯვებათა სიაში კიდევ ერთი მიღწევა ჩაწერეს — ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში ჩატარებული სპორტსაზოგადოება „კრასნოე ზნამიას" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავეს.

ჩატარებულ ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანი იყო უკანასკნელად მოწყობილი ოთხმოცდაათ კილომეტრიანი ტურისტული ლაშქრობა, მარშრუტით: თბილისი-ავჭალა-ზედაზენი-მცხეთა-არმაზი-ძეგვი-შიო მღვიმე და უკან. ლაშქრობაში სამასამდე ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა. მოლაშქრეებმა წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში გზადაგზა ჩააბარეს მშთ ნორმატივები ცურვაში, სროლაში, ყუმბარის ტყორცნაში.

კომბინატში მიმდინარე წელს უკვე ორჯერ ჩატარდა სპარტაკიადა. უკანასკნელ სპარტაკიადაში სამასამდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა, მათ შორის ქარხნის დირექტორი ნ. თუშიშვილი, ძირეულ ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე, გამოცდილი სპორტსმენი, კომბინატის მთავარი ენერგეტიკოსი დ. ფხაკაძე, მრავალი ინჟინერი და მუშა.

ამჟამად კომბინატში დასასრულს უახლოვდება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V ფესტივალისადმი მიძღვნილი სპორტული კვირეული. სპორტული კვირეულის პროგრამაშია ველოგადარბენა თბილისი-რუსთავი-თბილისი, ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ფეხბურთი, ტურისტული ლაშქრობა. დასკვნით საღამოს კომბინატელები მოაწყობენ შეხვედრას სპორტის ოსტატებთან და დააჯილდოვებენ გამარჯვებულ საამქროებსა და ცალკეულ ფიზკულტურელებს.

... როდესაც კომბინატის სპორტული მიღწევების შესახებ გვესაუბრებიან, ყოველთვის იხსენებენ ხოლმე შრომისა და სპორტის ენთუზიასტებს. ესენი არიან ინჟინრები მ. ბაბუნაშვილი, შ. მელაძე, შ. ბოკუჩავა, მქსოველები ციალა დიდებაშვილი და ა. ლაპტევა, საქსოვი საამქროს მუშა ვ. სანაკოევი, მაუდის საამქროს მუშა შ. კაკილაშვილი, მ. თევდორაძე, კარდანახაშვილი და მრავალი სხვა.

როგორც ყველგან, აქაც — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში, ფიზიკური კულტურა დიდად უწყობს ხელს კოლექტივს საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

**გ. გომართელი**

# ღია სარბიელზე

◆

## საქართველოს გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში

◆

საქართველოს 1955 წლის გუნდური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში ზონების მიხედვით მოეწყო. ზონებში გამარჯვებული უძლიერესი კოლექტივები ჩამოვიდნენ თბილისში, რათა მონაწილეობა მიეღოთ დასკვნით ასპარეზობაში. უძლიერესთა შორის არიან თბილისის, აფხაზეთის, ახმეტის, გორისა და გარეუბნის რაიონის გუნდები.

თბილისში კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით მიმდინარეობდა ეს საინტერესო შეჯიბრება. პირველად სარბიელზე გამოვიდნენ აფხაზეთისა და გარეუბნის გუნდები. თავიდანვე აშკარა გახდა გარეუბნის რაიონის მოჭიდავეთა უპირატესობა, რომლებიც თავიანთ მოწინააღმდეგეს სჯობნიდნენ ჭიდაობის ტექნიკური და ტაქტიკური მრავალფეროვნებით. აფხაზეთის წარმომადგენლებმა სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს გარეუბნელ მოჭიდავეებს და დამარცხდნენ დიდი ანგარიშით — 3:22. უფრო საინტერესო გამოდგა თბილისისა და ახმეტის გუნდების შეხვედრა. როგორც ცნობილია, ახმეტის რაიონის მოჭიდავეები ერთ-ერთი უძლიერესნი არიან რესპუბლიკაში. ბევრ მათგანს ხშირად უსახელებია მშობლიური რაიონი რესპუბლიკის ჩემპიონის სახელის მოპოვებით. ამიტომ იყო, რომ მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ამ ორი ძლიერი გუნდის შეხვედრას. გაიმარჯვა დედაქალაქის კოლექტივმა. გორისა და გარეუბნის რაიონის გუნდების შეხვედრისას ძნელი იყო იმის თქმა თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება, რადგან ორივე კოლექტივი ერთნაირი სიძლიერის იყო. მაგრამ გარეუბნელ სპორტსმენებს თავიდანვე უპირატესობა იმაში ჰქონდათ, რომ მისი მოწინააღმდეგე რვის მაგივრად შვიდი კაცის შემადგენლობით გამოდიოდა. მძიმე წონის მოჭიდავეთა შეხვედრამ, რომელიც დამთავრდა გორელი სპორტსმენის გამარჯვებით, გადაწყვიტა შეხვედრის ბედი გორის გუნდის სასარგებლოდ. თბილისის გუნდმა მოუგო აფხაზეთს.

შეჯიბრების მეორე დღეს გორმა დიდი ანგარიშით დაამარცხა ახმეტის რაიონი, ხოლო ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა გარეუბნის რაიონის გუნდთან შეხვედრაში, თბილისმა მოუგო გარეუბნის კოლექტივს. გორელმა მოჭიდავეებმა დაამარცხეს აფხაზეთის წარმომადგენლები.

გუშინ შედგა საქართველოს პირველობის უკანასკნელი შეხვედრები.

**ი. თომაშვილი.**

• • •

**სურათებზე:** შეჯიბრების მომენტები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზოგიერთი ტერმინის ქართულად თარგმნისა და დადგენის საკითხისათვის

გაზეთმა „ლელომ" ა. წ. 27 ივლისის ნომერში საკითხის დასმის წესით მოათავსა რ. თვარაძის წერილი „ტერმინოლოგიის ერთიანი პრინციპისათვის", რომელშიც განხილული იყო სპორტული საზოგადოებების სახელწოდებათა ქართულად თარგმნის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი მეტად აქტუალურია. წერილში სწორად იყო აღნიშნული, რომ სპორტული საზოგადოებების სახელწოდებათა თარგმნისა და სპორტული ტერმინოლოგიის დადგენის დროს ამოსავალ პუნქტად უნდა მიღებულ იქნას ერთიანი პრინციპი, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვადასხვა სახელწოდებათა აღრევის შემთხვევები.

სწორია ის აზრიც, რომ არ უნდა ითარგმნოს ისეთი სახელწოდებები, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო გავრცელების სიტყვებისაგან (მაგალითად, „დინამო" „ტორპედო", „ლოკომოტივი"). ჩვენ ჩვენის მხრით დავუმატებდით შემდეგ საერთაშორისო გავრცელების მქონე სიტყვებს: „კროსი", „სტილი", „რაუნდი", „ტირი", „გონგი" და მრავალი სხვა, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა ითარგმნოს.

რ. თვარაძეს ზემოაღნიშნულ წერილში სწორად და ზუსტად მოჰყავდა ამა თუ იმ სპორტული საზოგადოების სახელწოდებათა ქართული შესატყვისები, რომელთაც ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ. ჩვენ გვსურს ამ წერილში შევეხოთ ისეთი ტერმინების ქართულად თარგმნის საკითხს, რომლებიც ჯერჯერობით ჩვენს სპორტულ ლიტერატურაში მტკიცედ დადგენილი არ არის. ზოგჯერ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევებთან, როცა ერთიდაიგივე ტერმინი სპორტის ერთდაიმავე სახეობაში ორგვარი სახით გვხვდება. არსებობს ცურვის ისეთი სახეობა: **„Вольный стиль".** ქართულ სპორტულ ლიტერატურაში მის შესატყვისად ხმარობენ, ერთ შემთხვევაში „ნებისმიერი სტილი" და მეორე შემთხვევაში „თავისუფალი სტილი". ასევე **„Бег"**-ის შესატყვისად „რბენაც" იხმარება და „სირბილიც". ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ისმის კითხვა: როგორ მოიქცეს მთარგმნელი ასეთ შემთხვევაში, რომელი შესატყვისი უნდა დაწეროს? საკითხის უკეთ დაზუსტებისა და სრულყოფისათვის ჩვენ გვსურს აქვე მოვიყვანოთ ისეთი ტერმინების სია, რომლებიც ჯერჯერობით დაუდგენელია და ამიტომ მათ ქართულში რამდენიმე შესატყვისი, უფრო სწორად, ვარიანტი აქვთ. მაგალითად: **Способ** — ხერხი თუ საშუალება? **Разминка** — მოთელვა თუ წვართვა? **Зарядка** — სამხნევე თუ დაჭერვა? **Приседание** ჩაჯდომა თუ ბუქნა? **Тренировка** — წვრთნა თუ წაფვა? **Новичок** — ახალბედა თუ ახლადდამწყები? **Колодки** — ტერფ-საბჯენები თუ სატერფულები?, **Тихий бег** — ნელი სვლა თუ ნელი რბენა?, **Бег с препятствиями** — დაბრკოლებებით რბენა, წინაღობებით რბენა თუ საბრკოლო რბენა?. **Барьерист** — თარჯმრბენი თუ თარჯმორბენალი? **Стортовый разгон** — სასტარტო ქანი, სასტარტო გარბენა თუ სასტარტო გაქანება?, **Судья при участниках** — მსაჯფარეში თუ მსაჯი მონაწილეებთან? **круглогодичная тренировка** სრულწლიური, წლიურმუდმივი თუ მთელწლიური წაფვა ან წვრთნა? და ა. შ.

რომელი უნდა დამკვიდრდეს ჩვენს სპორტულ ტერმინოლოგიაში? რატომ უნდა დავწეროთ ერთი და არა მეორე? აი, საკითხები, რომლებიც გარკვევასა და დადგენას მოითხოვენ.

ჩვენის მხრივ შევნიშნავთ, რომ საერთოდ ტერმინების ქართულად თარგმნის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას სპორტის სახეობები, იმიტომ რომ ესა თუ ის ტერმინი სპორტის სხვადასხვა სახეობაში სხვადასხვანაირად იხმარება. მაგალითად, **Рывок.** თუ ამ ტერმინს ჭიდაობაში ვხმარობთ — **Рывок плечом** — ვწერთ „მხარის გაკვრა", მაგრამ თუ შტანგაში ვიყენებთ **Рывок штанги** — მაშინ ვწერთ — „შტანგის ატაცი", რბენაში **Рывок на ленту** ან **Рывок со старта** — ვწერთ „ლენტთან მიჭრა", „სტარტიდან მოსხლეტა" და სხვ. ე. ი. **Рывок**-ს სპორტის სხვადასხვა სახეობაში სხვადასხვა სახელწოდებები აქვს.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, ზემოაღნიშნულის დასამტკიცებლად მოყვანილიც საკმარისია. მაგრამ ამ საკითხის მიმართ დამატებით შევნიშნავთ შემდეგს: ტერმინების ქართულად თარგმნის დროს სპორტის ერთდაიმავე სახეობაში ერთიდაიგივე ტერმინი უნდა დამკვიდრდეს. მაგალითად, ყოვლად შეუძლებელია ცურვაში **„Вольный стиль"**-ის შესატყვისად არსებობდეს „ნებისმიერი სტილიც" და „თავისუფალი სტილიც". ან ერთი უნდა იყოს ან მეორე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცალკე გვსურს გამოვყოთ შემდეგი ტერმინები: კაპიტანი — კაპიტანი თუ გუნდისთავი? დისტანცია — დისტანცია თუ მანძილი? სტარტი — სტარტი თუ საწყისი? კომანდა — კომანდა თუ ძახილი? ესტაფეტა — ესტაფეტა თუ ამანათრბენი? მატჩი — მატჩი თუ შეხვედრა? რუპორი — რუპორი თუ ხმამაღლი?

თუ წესად მივიღებთ (და ეს ასეც უნდა იქნას) ზემონათქვამს, რომ არ უნდა ითარგმნოს ისეთი ტერმინები, რომლებიც საერთაშორისო გავრცელების სიტყვებისაგანაა მიღებული, მაშინ პირველ სამს არავითარ შემთხვევაში თარგმნა ე. ი. შესატყვისის ხმარება არ დასჭირდება. უფრო ზუსტად, ქართულად უნდა ვიხმაროთ „კაპიტანი" (და არა გუნდისთავი), ასევე „დისტანცია" და „სტარტი" (ისე, როგორც ვხმარობთ „ფინიშს"), მაგრამ როგორ მოვიქცეთ სხვა აქ ჩამოთვლილ დანარჩენ ტერმინების ხმარებისას, ვთარგმნოთ თუ ისე დავტოვოთ? ისინიც ხომ საერთაშორისო გავრცელების სიტყვებისაგანაა მიღებული? მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვხმარობთ მათ შესაბამისს სიტყვებს. ჩვენში მტკიცედ არის დაფუძნებული „კომანდის" ნაცვლად „ძახილი", ასევე „ამანათრბენი", „ხმამაღლი", „შეხვედრა" და ა. შ. ამიტომ ზემოჩამოთვლილი სიტყვები ჩვენ ასეც უნდა ვიხმაროთ. ეს კანონიერიც იქნება და ამავე დროს ბუნებრივიც.

ბ. დარსაძე

# მსოფლიო ჩემპიონის დამარცხება

21 აგვისტოს მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონი გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები.

გერმანელები თამაშზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: ჰერკენრატი, იუსკოვიაკი, ლიბრიხი, პოზიპალი, უქელი, ჰარბერტსი, რანი, ვალტერი, მორლოკი, რიორიგი, შეფერი. საბჭოთა კავშირის გუნდში იყვნენ: იაშინი, პორხუნოვი, ბაშაშკინი, ოგონკოვი, მასლიონკინი, ნეტო, ტატუშინი, ისაევი, პარშინი, სალნიკოვი, ა. ილინი. მატჩს სჯიდა ინგლისელი ვილიამ ლინგი.

თამაში დაიწყო საბჭოთა ფეხბურთელთა სწრაფი იერიშებით, მაგრამ გერმანელთა დაცვა თამაშობდა ძლიერად და დიდი ყურადღებით. მიუხედავად იმისა, რომ წვიმის შემდეგ დამძიმებული ნიადაგი საგრძნობლად უშლიდა ხელს მოთამაშეებს, ტემპი მაინც მაღალი იყო. სტუმრების მარცხენა მცველი პოზიპალი ფხიზლად დარაჯობდა ტატუშინს, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაინც შეძლო მოწინააღმდეგის მოტყუება და ზუსტად ჩააწოდა კარის წინ. აქ ყველას დაასწრო პარშინმა და ანგარიში გახსნა. ეს მოხდა მე-19 წუთზე. ერთი წუთის შემდეგ ტატუშინი კვლავ გაიჭრა წინ, და ჰერკენრატმა შესანიშნავი ნახტომით აიღო მის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი. ცოტა ხანში სახიფათო მომენტი შეიქმნა მასპინძელთა კართან და იაშინს მოუხდა ძნელი ბურთის აღება ვალტერისაგან.

ინიციატივა თანდათან ხელთ იგდეს გერმანელებმა, სრული ძალით ამოქმედდნენ მათი თავდამსხმელები. 32-ე წუთზე ვალტერმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1. დარჩენილ დროში რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენეს საბჭოთა ნაკრების მოთამაშეებმა, ხოლო იაშინმა 38-ე და 42-ე წუთებზე ორი ძნელი ბურთი მოიგერია.

გერმანელი ფეხბურთელები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული, ყოველი მათგანი სრულყოფილად ფლობს თამაშის ტექნიკას, მრავალფეროვანია მათი ტაქტიკაც, მაგრამ ისინი ჩამორჩებოდნენ თავის მოწინააღმდეგეს სისწრაფესა და მანევრირებაში.

პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. შესვენების შემდეგ მაშინვე შეუტიეს გერმანელებმა და მალე შედეგსაც მიაღწიეს: მე-7 წუთზე შეფერმა გაიტანა მეტად ლამაზი გოლი — 2:1.

ამ გოლის შემდეგ საბჭოთა კავშირის გუნდმა საგრძნობლად გააძლიერა თამაში. თავდამსხმელები სწრაფი გადაცემებით ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან. ამ იერიშებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ნახევარმცველები მასლიონკინი და ნეტო.

მე-18 წუთზე გერმანელთა მეკარემ ფეხებიდან ააცალა ბურთი ნეტოს, მაგრამ მალე გარღვევაზე გავიდა მასლიონკინი, რომელიც გაცდა ლიბრიხს და გაიტანა საპასუხო ბურთი — 2:2.

26-ე წუთზე პარტნიორების მიერ გათამაშებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა ილინმა და ანგარიში გახდა საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ — 3:2.

ამის შემდეგ მასპინძელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა, სრული დატვირთვით თამაშობდნენ გერმანელთა მცველები და მეკარე.

მძიმე სამუშაო დაწვა თავს ჰერკენრატს, იგი ხშირად იყო თამაშში და უხდებოდა ძნელი ბურთების აღება პარშინისა და ნეტოსაგან. მატჩის უკანასკნელი წუთები მიმდინარეობდა სტუმრების საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ანგარიში 3:2 საბჭოთა კავშირის ნაკრების სასარგებლოდ აღარ შეცვლილა.

ჩვენმა ფეხბურთელებმა თამაში ჩაატარეს ძლიერად, განსაკუთრებით თავდამსხმელებმა და ნახევარმცველებმა. დაცვაში აღსანიშნავია ოგონკოვი, რომელმაც შეძლო ჩემპიონის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელის რანის ნეიტრალიზება.

**დ. ცომაია,**
**ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.**

◆

**სურათზე:** მატჩზე დასასწრებად ჩამოსული გერმანელი ტურისტები მოსკოვში, ბელორუსიის ვაგზალთან.

## „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ინდოეთი (ნაკრები)

გუშინ, მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ ინდოეთის ნაკრები და დედაქალაქის „ლოკომოტივი".

შეჯიბრებს ორივე ნახევარში აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა რომლებმაც მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს სამი ბურთი, თავისაში კი არცერთი არ მიუღიათ.

---

## მატჩი სტალინგრადში

**სტალინგრადი.** (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). „ბ" კლასის მეორე ზონის გუნდები — სტალინგრადის „ტორპედო" და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი წელს ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი წრის კალენდარული მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2, ხოლო თასის გათამაშებაზე გაიმარჯვა „ტორპედომ" — 1:0.

მეორე წრის მატჩი გაიმართა სტალინგრადში 21 აგვისტოს. თბილისელებმა ორი „მშრალი" ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

---

## სსრ კავშირის თასზე

ფეხბურთში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი. კიევის ოფიცერთა სახლის გუნდმა თავის მოედანზე მიიღო „შახტიორი" (სტალინო).

მატჩი მოიგეს კიეველებმა — 3:2.

---

## ჭაბუკთა შეჯიბრების ფინალში

**მოსკოვი.** (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). 22 აგვისტოს გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური შეჯიბრების მორიგი ტურის მატჩები.

გათამაშების ლიდერმა უკრაინის ნაკრებმა გუნდმა კვლავ მინიმალური ანგარიშით შეძლო თავისთვის მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება. უკრაინელმა ჭაბუკებმა სძლიეს რსფსრ-ს გუნდს — 1:0. დიდი ანგარიშით (6:0) მოუგეს მოსკოველებმა ყირგიზეთის გუნდს. საქართველოს ჭაბუკებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს ლიტვის ნაკრები. ანგარიშია 1:0.

# მოზარდ ფეხბურთელთა შეხვედრა

გასულ კვირას თბილისის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდა მოზარდ ფეხბურთელთა საფეხბურთო სკოლების გუნდები. თამაშობდნენ თბილისისა და კიევის ჭაბუკები.

კიეველებმა თამაში დაიწყეს ენერგიული, მონდომებული იერიშებით. პირველი 20 წუთის განმავლობაში მთელი გუნდი იბრძოდა კოლექტიურად, ურთიერთ დაზღვევით. ორივე ტაიმის განმავლობაში მეტად ძლიერად თამაშობდა ცენტრალური მცველი შილიაევი. კარგი იყო აგრეთვე მისი კოლეგა თბილისელთა გუნდიდან კახრაძე.

დასაწყისშივე შექმნეს სახიფათო მომენტები ბალაკინმა (№ 8), ბაზილევიჩმა (№ 7). ერთერთ მომენტში ბაზილევიჩის მიერ დარტყმული დაბალი ბურთი მოხვდა ძელს და დაბრუნდა მოედანში.

ამ ხნის მანძილზე თბილისელთა თავდასხმა პასიურად იბრძოდა ბურთისათვის და ხშირად კარგავდა მას მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. მხოლოდ 22-ე წუთზე შეძლეს მასპინძლებმა ნამდვილი შეტევის განხორციელება — ნახევარმცველი გვიმრაძე კარგად გავიდა მარჯვენა ფრთაზე, მაგრამ კარის წინ ჩაწოდებულ ბურთზე პარტნიორები დროზე არ გავიდნენ. ამას მოჰყვა რამდენიმე სწრაფი კომბინაცია და მალე გოლიც: იოსელიანმა (№ 8) ზუსტად და დროზე მიაწოდა მარცხენა ფრთაზე მყოფ ეპიტაშვილს, რომელმაც იგი ახლო მანძილიდან გაგზავნა კარში.

არ გასულა რამდენიმე წუთი და სტუმრებმა კვლავ ცენტრიდან დაიწყეს თამაში. ზეინკლიშვილმა (№ 9) კარგად გამოიყენა კახიანის (№ 7) გადაცემა და ზემო კუთხეში გაიტანა მეორე ბურთი — 2 : 0. ასე დამთავრდა ტაიმი.

შესვენების შემდეგ, მე-18 წუთზე ანთიძემ (№ 2) ბურთი წაართვა კროშჩენკოს (№ 11) და მიაწოდა გვიმრაძეს, გვიმრაძისაგან ბურთი მოხვდა ივანოვს (№ 10), ივანოვისაგან—იოსელიანს, რომელიც გავიდა წინ და შემხვედრი მიმართულებით გამოსული ხოლოვცევის (№ 1) გვერდით გაიტანა მესამე გოლი.

კიეველები დამარცხების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ და შორეული დარტყმებით ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორება. ერთმა ასეთმა გადაცემამ მათ წარმატებაც მოუტანა. თბილისელთა მეკარემ კვაჭაძემ ტროიანოვსკისთან (№ 10) ბრძოლაში დაკარგა ბურთი, რომელიც ბაზილევიჩმა მოათავსა მოწინააღმდეგის ბადეში — 1 : 3.

მაგრამ ეს იყო სტუმრების პირველი და უკანასკნელი წარმატება. მალე უხეში ტექნიკური შეცდომა დაუშვა მარჯვენა მცველმა რომანოვმა და იოსელიანის დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 4 : 1 თბილისელთა სასარგებლოდ.

ქ. ნოზაძე

**სურათზე:** ზევით — უფროსი მეცნიერ-მუშაკი ც. დედაბრიშვილი და ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ა. როიტბაკი საცდელ აპარატთან. ქვევით — დაკვირვება მორბენალზე.

# მეცნიერული მუშაობა სტადიონზე

...სტადიონის მწვანე მოედნის შუაგულში დადგმულია მაგიდა სპეციალური ხელსაწყოებით. მის გარშემო მუშაობენ მეცნიერი მუშაკები. აი, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა ი. გოცირიძემ სპორტსმენს მკერდზე და ფეხის ტერფზე შემოახვია სპეციალური სახვევი და ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს ა. როიტბაკს აცნობა მზადყოფნის შესახებ. ც. დედაბრიშვილმა და ბ. თავართქილაძემ ჩართეს წამზომები. დაიწყო ცდა.

ინსტიტუტის ფიზიოლოგიისა და საექიმო კონტროლის განყოფილების მუშაკები მეტად საინტერესო და რთულ თემაზე აწარმოებენ დაკვირვებას. ესაა მორბენლის სუნთქვის შესწავლა ბუნებრივ პირობებში. სუნთქვის მოძრაობის რეგისტრირება ასეთ პირობებში პრაქტიკულად მეტად ძნელია, ინსტიტუტში შემუშავებული მეთოდიკა კი ამის საშუალებას იძლევა. ამ სამუშაოს ძირითად მიზანს წარმოადგენს შესწავლილ იქნას სუნთქვის ის ცვლილებები, რომელიც ხდება ე. წ. „მკვდარი წერტილის“ დროს.

ამ თემის გარდა ინსტიტუტის თანამშრომლები მუშაობას აწარმოებენ მთელი რიგი სხვა პრობლემების დამუშავებაზე. ღირსსაყურადღებო თემები აქვთ აღებული ბ. თავართქილაძეს, ი. გოცირიძეს, ი. გაბაშვილს, ტ. კაკაბაძეს.

◆

# პიონერთა სპარტაკიადა

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის სპორტულ ბაზაზე ჩატარდა ქალაქის პიონერთა ბანაკების საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ცურვა და ფრენბურთი. უმცროსი ასაკის გოგონათა შორის 40 მეტრზე რბენაში გამარჯვებული გამოვიდა ა. კარპენკო, ვაჟთა შორის — ზ. სუხოცკი (ორივე გარეუბნის საბავშვო სახლიდან), საშუალო ასაკში 60 მეტრზე რბენაში გამარჯვებული კვლავ ამავე გუნდის წარმომადგენლები ლ. ვალოშინა და ნ. არაბოვი გამოვიდნენ. საშუალო ასაკის პიონერთა შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში დამთავრდა კიროვის რაიონის წარმომადგენელ გ. ჩხარტიშვილის გამარჯვებით. გოგონათა შორის პირველობა წილად ხვდა ლ ვალოშინას, მანვე გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში (გარეუბნის საბავშვო სახლი). სიმაღლეზე ხტომა დამთავრდა ქ. ბტაიანისა და ვ. მოიბროვის (სტალინის სახელობის რაიონი) გამარჯვებით. გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდათ გარეუბნის საბავშვო სახლის პიონერებს.

შეჯიბრება ცურვაში დამთავრდა გოგონათა შორის ნ. იაკოვენკოს, ვაჟთა შორის ი. რასპოპინის (ორჯონიკიძის ნორჩ ფიზკულტურელთა ბანაკი) გამარჯვებით. ამავე რაიონის წარმომადგენლებს დარჩათ გუნდური პირველობაც. შეხვედრები ფრენბურთში დამთავრდა გარეუბნის საბავშვო სახლის გუნდის გამარჯვებით. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ორჯონიკიძის რაიონის გუნდი.

სპარტაკიადაში გამარჯვებული გამოვიდა გარეუბნის გუნდი, მეორეზე — ორჯონიკიძის რაიონის, მესამეზე — სტალინის რაიონის პიონერთა კოლექტივები.

**ს. შხვაცბაია,**
**სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.**
**ი. ხაბეიშვილი.**

# ლაშქრობა მწვერვალზე

ყაზბეგის ფიზკულტურის კომიტეტმა ამას წინათ მოაწყო ლაშქრობა მყინვარწვერზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსწავლე და კოლმეურნე ახალგაზრდები. 4 აგვისტოს დილის 5 საათზე გასული ალპინისტები, არახელსაყრელ მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, 11 საათისათვის უკვე მწვერვალზე იყვნენ. ჯგუფმა მწვერვალიდან მოხსნა 4 წერილი და დაბრუნდა ყაზბეგში.

ალპინიადას ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი ლ. სუჯაშვილი.

**ვ. ლუდუშაური**

# მამელუქთა ასპარეზობა

◆

**ა. ცამაიშვილი**

◆

ასეთი შემაძრწუნებელი იერიშების მიტანას, იერიშებისა, რომლებმაც ნაპოლეონიც კი ჩააფიქრეს, მამლუქებმა დაუღალავი ვარჯიშით და სისტემატური შეჯიბრებებით მიაღწიეს. აი, როგორ იწაფებოდნენ ისინი ცხენოსნობაში:

ქაიროს დასავლეთით, მამლუქთა გამოჩენილი ორგანიზატორის იბრაჰიმ კაჰიას მამულსა და ქალაქს შორის მდებარეობდა ვრცელი ტრიალი მინდორი, რომელსაც მოსათებ ელ-ნაშშაბი ეწოდებოდა. იპოდრომზე ყოველ დილით რიგ-რიგობით გამოდიოდნენ მამლუქების მრავალრიცხოვანი რაზმები. ხალიჩაზე ფეხმორთხმული ბეი მოვარჯიშე ცხენოსნებს ყურადღებით უცქერდა, შეძახილებით ამხნევებდა, თამაშ-ვარჯიშებს აწესრიგებდა, ხშირად ჩაერეოდა კიდეც. ვინც თავს ისახელებდა აქებდა ან ფულით აჯილდოებდა.

თავდავიწყებით გაჭენებულ ცხენზე მჯდომარე მამლუქი თვალის დახამხამების უმალ იღებდა ბუდიდან კარაბინს, სამიზნედ დადებულ თიხის ქოთანს ამსხვრევდა და ისეთივე სისწრაფით ბუდეში ინახავდა. შემდეგ სარტყლიდან თანმიმდევრობით იძრობდა რამდენიმე პისტოლეტს და მიზანში ისროდა. დროის მოგების მიზნით მაჯის აკვრით მხარზე გადაიგდებდა დაცლილ პისტოლეტებს, რომლებიც დამჭერ თასმაზე ჩამოკონწიალებული ქანაობდნენ, ბოლის ქულები ჯერ კიდევ ასდიოდა დამბაჩის ტუჩს, რომ მამლუქი მაჯაზე ჩამოკიდებულ მოკაუჭებულ ხმალს მოიმარჯვებდა და ერთის გაკენწვლით თავს გააგდებინებდა სველი შალისაგან გაკეთებულ ფიტულს. ჩეხვაში წვრთნის დროს მამლუქები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქვევიდან ზევით კვეთას, რომელიც ქვეითისათვის გაცილებით ძნელად მოსაგერიებელი და რთული ილეთია. ვოლნეი შენიშნავს: „მათ მიერ შესრულებული კვეთა იმდენად კარგია, ხოლო მკლავის მოქმედება იმდენად ოსტატური, რომ ერთის მოქნევით სხეპავენ სამიზნედ განკუთვნილ თავს“.

მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებული ზნე-ჩვეულებანი ჩვენი მიწა-წყლის შვილებმა უწყლო ქვიშიან უდაბნოშიც არ დაივიწყეს და ქართული სპორტის ისტორიაში გმირული ეპოპეის ერთ-ერთი რგოლი სამშობლოდან ათას კილომეტრებით დაცილებულ ეგვიპტე-ერაყშიც შექმნეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქართული ნაციონალური ცხენოსნური თამაში ყაბახი და ისინდი. კლოტ-ბეი პირდაპირ მიგვითითებს: „მამელუქების ყველაზე უსაყვარლესი ვარჯიშობა, რომელიც მათ ეგვიპტეში არსებობის მანძილზე გადაიტანეს, იყო ჯირითის ტყორცნა (დღევანდელი ისინდი ა. ც.), რომელიც ჩვენ უძველეს ტურნირებსა და რაინდთა კარუსელებს მოგვაგონებს“.

XVIII საუკუნის ცნობილი ფრანგი მკვლევარი ნიბური თავისი მოგზაურობის აღწერილობაში მოგვითხრობს ცხენოსნურ ასპარეზობებზე და შენიშნავს, რომ მამლუქები უპირველეს ყოვლისა ჯირითის ტყორცნაში ფეხზე მდგომნი ვარჯიშობდნენ, რისთვისაც იყენებდნენ ლერწმის ან პალმის გრძელ გასხეპილ ტოტებს. ისინი ამ ჯოხებს ესროდნენ ერთმანეთს და ეუფლებოდნენ ჯირითის ტყორცნის, მისი აცდენისა და დაჭერის ხერხებს. დგომში ხანგრძლივი გაწაფვისა და ყველა წეს-ჩვეულებათა ზედმიწევნით ათვისების შემდეგ მამლუქები ცხენზე სხდებოდნენ და აგრძელებდნენ ვარჯიშს. ხანგრძლივი წვრთნის შემდეგ ისე ოსტატდებოდნენ, რომ მათი შერკინება მეომართა ნამდვილ ბრძოლას წააგავდა...

„ჯირითის თამაშისათვის ყოველმხრივი მომზადებისა და ჯოხებით შეიარაღების შემდეგ საკმაოდ გრძელი ინტერვალური სწრაფი ჭენებით იწყებენ ამ ჯოხების ერთმანეთისადმი სროლას. შემტევი მხარე, როგორც კი ჯირითს ჰკრავს და უკან შემოატრიალებს თავის ცხენს, სროლის ჯერი მიდგება მასზე, რომელზედაც ჯირითის პირველი დაგელვება იყო მიმართული და რომელმაც იგი ვერ აიცილა“ (ვოლნეი, „მოგზაურობა სირიასა და ეგვიპტეში“).

სისტემატური ვარჯიშების წყალობით მამლუქების მერნები ალღოთი გრძნობდნენ პატრონისათვის სასურველ სვლას და მას მხედრის წარმართვის გარეშე ასრულებდნენ. მათი ტაიჭები თითქოს გრძნობდნენ შერკინებულთა გამარჯვებასა თუ დამარცხებას და მხედრებთან ერთად იზიარებდნენ სიხარულსა და სინანულს. მამლუქებს შორის ბევრნი ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ჯირითს უდიდესი სიძლიერით ტყორცნიდნენ და მოწინააღმდეგეს ჰკრიდნენ და ხანდახან ჰკლავდნენ კიდეც. მოთამაშის მთავარი ხელოვნება იმაში მდგომარეობდა, რომ შხუილით მოსრიალე ჯირითი აეცდინა ან სრბოლის დროს ხელით ჰაერშივე დაეჭირა. ასეთი მოასპარეზე ჯილდოსა და მაყურებელთა ხოტბას იმსახურებდა.

მამლუქები თამაშ-ვარჯიშებს მშვილდ-ისრის სროლაშიაც აწყობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს უძველესი იარაღი ხმარებიდან გამოსული იყო და საბრძოლო საშუალებას აღარ წარმოადგენდა. ყაბახს ისინი მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით მისდევდნენ და იგი ფიზიკური წრთობის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდათ.

მამლუქებს მისალმებისა და ერთურთის პატივისცემის ორიგინალური წესი ჰქონდათ. უიტმენის აღწერით, ერთმანეთისაკენ გრიგალისებურად მფრინავი ორი მხედარი შეხვედრისას ელვისებური სისწრაფით შეაყენებდნენ ცხენებს, რომლებიც ყალყზე დგებოდნენ და წინა ფეხებით ერთმანეთს ტორავდნენ, ხოლო პატრონები დამბაჩებს დასცლიდნენ. გარდა იმისა, რომ რაინდები ასეთი შეხვედრისას წარმტაც სურათს გამოსახავდნენ, ისინი ამავე დროს ცხენებს უეცრად გაქვავებასა და მოულოდნელ სროლასაც აჩვევდნენ.

ნაპოლეონის ეგვიპტის კამპანიამ ძირფესვიანად შეარყია მამლუქების ძლიერება და მათ ფიზიკურ განადგურებას ნიადაგი მოუმზადა. 1804 წელს ქაიროს აჯანყებულმა ხალხმა მამლუქთა ბეები მმართველობას ჩამოაცილა, ხოლო 1808 წელს ეგვიპტის ფაშა მუჰამმედ-ალიმ მათ მიწები ჩამოართვა. 1811 წელს მუჰამმედმა მამლუქების ძირითად ბირთვს (470 კაცი) ვერაგული ხაფანგი დაუგო, ისინი ქაიროს ციტადელში მიიწვია და ცერემონიალის შემდეგ მთლიანად გააწყვეტინა. ასე ტრაგიკულად დასრულდა ოდესღაც მრისხანე მამლუქების ბრძანებლობა.

ჩვენს მიერ მოკლედ აღწერილი მამლუქების ცხენოსნური ოსტატობა სრული არ იქნება და თემას ჩრდილი მოეფინება თუ აქვე ოდნავად არ გავკენწლავთ ერაყელი მამლუქების მხედრული ჩაუქობის შესახებ არსებულ მასალებს.

ერაყის გამგებელ ჰასან-ფაშას კარზე აღზრდილმა ქართველმა ტყვემ სულეიმან აბუ ლაილაჰმა 1749 წელს ჰილლაჰთან 800 მხედრით სასტიკად დაამარცხა მუჰამედ ფაშას 14.000-იანი არმია. ამ გამარჯვებით ქართველ მამლუქთა ლაშქარმა ხელთ იგდო მთელი მესოპოტამია ქალაქ ბაღდადით და ერაყში საფუძველი ჩაუყარა ქართველი მამლუქების მბრძანებლობას.

ქართველ მამლუქთა ერთ-ერთი გამოჩენილი მეთაურის აბუ ლაილაჰის ინიციატივით ბაღდადში შეიქმნა მამლუქური კადრების მოსამზადებელი სკოლა, სადაც 200 ქართველი ჭაბუკი რეგულარულ წვრთნას გადიოდა ცხენოსნობაში, ჯომარდობას და ფიზიკური აღზრდის სხვა სახეობაში. ჩამოყალიბდა ქართული გვარდია, რომელშიც მხოლოდ დარჩეული და გულადი ცხენოსნები იყვნენ.

სულეიმან დიდი, წარმოშობით ქართველი, გოლიათური ფიზიკური ძალის, მეტად ლამაზი ვაჟკაცი ყოფილა. გ. ა. ბეი-მამიკონიანი თავის ნაშრომში: „ქართველ მამელუქთა მბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეში“, ახდენს სულეიმანის თანამედროვე ინგლისელის ჰარფორდ ჯონსის ციტირებას, სადაც მინიშნებულია:

„მისი (სულეიმან დიდის. ა. ც.) თვალტანადობა თითქოს საგანგებოდ იყო შექმნილი იმისათვის, რომ რაც შეიძლება ეფექტიურად გამოეჩინა მშვენიერი თურქული ტანისამოსი... ის ისევე მარჯვე იყო ყოველგვარ მხედრულ თუ საველე გაწვრთნილობასა და ჯომარდობაში, როგორც ისინი, ვისთვისაც ეს სამსახურს ან ხელობას წარმოადგენდა“.

დაუთი — ორბელიანების ყმის შვილი, მრავალი ყიდვა-გაყიდვის შემდეგ სულეიმან დიდთან მოხვდა. ისევე, როგორც მრავალი სხვა მისთანანი, დაუთიც მიაბარეს ქართველ მამლუქთა სასწავლებელში, სადაც ზედმიწევნით გაიწაფა და სრულყოფილად დაეუფლა ყოველგვარი იარაღის ხმარებას, დაოსტატდა ცხენოსნობის ხელოვნებაში.

1830 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომში ერაყის მიერ დაკავებულმა პოზიციამ სულთან მუჰამედ მეორეს უკარნახა ზურგიდან ამოეძრო სახიფათო ეკალი ქართულ-მამლუქური ერაყის სახით. დაუთი იძულებული გახდა დანებებოდა ალი-რიზა-ფაშას, რომელიც ერაყის ურჩი მბრძანებლის მოსადრეკად წარგზავნა. ფირმანის მოსმენის ცერემონიალზე ალიმ სასახლეში მიიტყუა ბაღდადში დარჩენილი ქართველი მამლუქები და მუსრი გაავლო.

წარმოდგენილი მოკლე ნარკვევი, რა თქმა უნდა, ამომწურავი არაა და იგი ქართველი მამლუქების სპორტულ ოსტატობაზე სრულ სურათს არ იძლევა. მით უმეტეს სტატია პრეტენზიებს ვერ განაცხადებს საქართველოს წარსულთან განუყოფელი მამლუქთა საინტერესო ისტორიის სრულყოფილ ასახვაზე. მამლუქების ისტორიის შესწავლის საკითხი ქართულ ისტორიაში ამ უკანასკნელ პერიოდში წამოიჭრა და იმედია, რომ საქართველოს მეცნიერები ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემასაც ახლო მომავალში დადებითად გადაწყვეტენ.

---

დასასრული. იხ. „ლელო“ № 63

# რ ო ს ტ ო ვ ი — თ ბ ი ლ ი ს ი

თბილისში, დედაქალაქის საჭადრაკო სექციის მოწვევით, ამხანაგური მატჩის სათამაშოდ ჩამოვიდა დონის როსტოვის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი. სტუმრების შემადგენლობაში არიან ოსტატობის კანდიდატები ეილინი, კნიშენკო, ლადიჟენსკი, პიმენოვი, ლოსი, როხლინი, რუდენკო, საპროხინი, კოჩეტოვა და კუზნეცოვა.

საქართველოს დედაქალაქის სახელით გამოდიან ოსტატობის კანდიდატები გურგენიძე, ზუსლაევი, სოროკინი, გიორგაძე, პირველთანრიგოსნები მესროპოვი, კალატოზიშვილი, ელიოზიშვილი, ინწკირველი, კაკაბაძე და გოგიავა.

გუნდები ერთმანეთს ორჯერ შეხვდებიან.

გუშინ შედგა მატჩის I ტური.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 8.89.62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8.90.34, მორიგისა და გამომშვების — 8.38.25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14.
უე 04267